ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01192251483**
თარიღი: **13/08/2019**
პინი: **1401**

ადრესატი: შპს ფლექსი დეველოპმენტი- ბაგები
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405307546
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 16, სართული 13

გადააამოწმეთ: document.municipal.gov.ge

თქვენი N19/011902963-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II გასასვლელი, N10-ში (საკ. კოდი N01.14.08.003.037) 05.04.2018წ. N3901037 (AR1557933) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით (მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება N4039161 27.06.2018წ.) მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 251-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი, რაოდენობა, მდებარეობა და ფორმა. გაზრდილია რიგელების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების რაოდენობა და გაბარიტი. „E" ღერძზე მდებარე კედელს „2-3" მონაკვეთში შეცვლილი აქვს ფორმა. შენობის პერიმეტრზე კედლებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი, რის გამოც შეცვლილია შენობის ფართი. შეცვლილია ლიფტის ღიობის მდებარეობა. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი. მონოლითური და კაპიტალური კედლები დაფერილია ერთ ფერში. ტერიტორიაზე „1*" ღერძის გარეთ გაზრდილია მონოლითური კედლის სიმაღლე. პროექტში არ არის ასახული რიგელები სრულად.
„4*-1* "ფასადი: „3-2" მონაკვეთში ფასადზე დამატებით მოწყობილია ღიობები.
გეგმა -2.80 ნიშნული: „4*-4" მონაკვეთში „E" ღერძის გარეთ შეცვლილია მონოლითური კედლის ფორმა.
გეგმა +0.00 ნიშნული: „B-A" მონაკვეთში სადარბაზოში „2" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი.
გეგმა +19.30 ნიშნული: გაზრდილია კონსოლების გაბარიტი.
გეგმა +22.93 ნიშნული: დამატებით მოწყობილია მონოლითური სვეტები.
დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 251-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-092 *405026877*

გამოწერებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი